სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №73/2019

ქ. თბილისი „26“ თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ი.მ მერაბ კურდღელაშვილი** (შემდგომში “მიმწოდებელი”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “ტექნიკური დავალება” - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.5. “ტექნიკური დოკუმენტაცია” - მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ღობეების მონტაჟის (CPV45342000) შესყიდვა;

2.2. შესყიდული სამუშაო ტექნიკური აღწერილობა და ღირებულება მოცემულია წენამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1455 (ათას ოთხასორმოცდათხუთმეტი) ლარსა და 80 თეთრს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს **დღგ-ს ჩათვლით;**

3.3. ხელშეკრულების ფინანსდებს წყაროა- **სახელმწიფო ბიუჯეტი.**

4. მომსახურების დაგეწვის ვადები და ადგილი

ხელშეკრუებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეულ სამუშაოზე მხაარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო, თანხა ჩაირიცხბე ხელშეკრულებაში მითითებულ, მომწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ხარისხიანი შამუშაო ტექნიკური დავალებისა და სამუშაოს ამ სფეროში მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროს**ი ნინო შეწირული.**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა გასაწვი ან/და გაწეული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები;

8.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

მომწოდებელი იძლევა გარანტის რომ მის მიერ გაწეული სამუშაო იქნება ხარისხიანი და მომსახურების ამ სფერიში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4. მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.4. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4. მუხლით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.4. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით;

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის მომენტიდან 2019 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	ი.მ. მერაბ კურდღელაშვილი
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 33001005032 ოზურგეთი, ჯავახიშვილის N13 მომსახურე ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 ა.ა. – GE13TB7500745063600039
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი ____________________	ინდივიდუალური მეწარმე ____________________მერაბ კურდღელაშვილი

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო * LEPL NATIONAL FOOD AGENCY * 205142200

NATIONAL FOOD AGENCY

Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
DN: cn=NATIONAL FOOD AGENCY, 2.5.4.97=NTRGE-205142200, o=•••••••• ••••••••
••••••••, c=GE
Date: 2019.02.26 15:29:09 +04'00'

	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალები		ხელფასი		ტრანსპორტი		სულ
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
				ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	
1	მიწის ამოღება საძირკველისათვის 0.3*0,25	გრ/მ	12,5			11	137,5			137.5
2	ცემენტი	ტონა	0,32	240	76.8	12	160		20	256.8
3	ღორღი	$მ^3$	1,5	25	37,5				50	87.5
4	კვადრატული მილი 0,0210,02	გრ/მ	12	2,8	33,6		150		10	193.6
5	ელექტროდი	შეკვრა	1	17						17
6	საჭრელი დისკო	ცალი	2	3	6					6
7	საღებავი ზეთოვანი (ღობე 75მ)	კგ	20	7	140		250			390
8	საღებავი წყალ ემულსია (ბეტონის ღობე მ)	კგ	12	5	60		90			150
9	გორგოლაჭი	ცალი	1	7	7					7
10	ფუნჯი	ცალი	2	5	10					10
11	ნარჩენების გატანა და მოწესრიგება						50		50	100
12	მოგება 8%									100.4
	სულ									**1455.8**

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**ი.მ. მერაბ კურდღელაშვილი**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 33001005032 ოზურგეთი, ჯავახიშვილის N13 მომსახურე ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 ა.ა. – GE13TB7500745063600039
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**ინდივიდუალური მეწარმე** _____**მერაბ კურდღელაშვილი**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **ი.მ მერაბ კურდღელაშვილის** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო